პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 11 ნოემბერი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

256 (954) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განმანათლებლური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კოპ. სტრნ.

## წვევამდე მომზადების შესახებ.

დღეს ჩვენს გაზეთში თავსდება რუსეთის კომუნისტური პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის ცირკულიარი წვევამდე მომზადების შესახებ.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა აღმშენებლობის სისტემაში წვევამდე მომზადებას უდიდესი ადგილი უჭირავს. ის, ასე ვსთქვათ, ერთი საფუძველთაგანია მთელი ჩვენი სამხედრო ძლიერების.

ამიტომაც, რამდენათ მაღლად არის დაყენებული წვევამდე მომზადება, რამდენად ის ნორმალურ პირობებში სწარმოებს, იმდენათ მეტის ნაყოფიერებით განვითარდება ტერაღმშენებლობა, გაძლიერდება წითელი ჯარი და გაიზრდება მისი საბრძოლო უნარი.

საქართველოში დღემდი წვევამდე მომზადება მოიკოჭლებდა.

შარშან წარმოებულმა წვევამდე მომზადებამ ვერ გამოიღო დიდი ნაყოფი. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ამ ფრიად დიდი მნიშვნელობის საქმეს თავიდანვე არ მიექცა ჯეროვანი ყურადღება. პარტიის, კომკავშირის, პროფკავშირთა ადგილობრივ ორგანიზაციების მხრივ არ წარმოებულა არავითარი წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა და სხვა. საბჭოთა კავშირის თავდაცვის და სამხედრო აღმშენებლობის ინტერესები კი მოითხოვენ, რათა წვევამდე მომზადებას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება და ყველა არსებული ნაკლი ამ მხრივ დაუყონებლივ გამოსწორებულ იქმნას. წარსულის შეცდომებს არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაურჩეს ადგილი. ზემოხსენებული ცირკულიარი ნათლად და გარკვევით მიუთითებს შარშანდელ შეცდომებზე და აგრეთვე იმ ზომებზედაც, რომელთა საშუალებით აცილებულ უნდა იქმნას მომავალ წვევამდე მომზადების დროს წარსულის ყველა ნაკლი. განსაკუთრებით კარგად უნდა იქმნას ჩატარებული წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა და კამპანია. ჩვენმა ტერნაწილებმა ყოველგვარი ღონისძიება უნდა იხმარონ, რათა საოლქო კომიტეტის ცირკულიარი სავსებით და წარმატებით იქნას შესრულებული. მაშინ წრევანდელ წვევამდე მომზადებაც მეტად ნაყოფიერი იქნება და დიდათ შეუწყობს ხელს ჩვენს წითელი ჯარის განმტკიცების საქმეს.

## სპარსეთის ინტერესები და ინგლისის ზრახვები.

სპარსეთში საკვირველი სისწრაფით ვითარდება შემთხვევები.

სექტემბრის ოც რიცხვში თეირანში მოხდა მონარქიული დემონსტრაციები, რომლებმაც გამოიწვია მონარქიის საწინააღმდეგო მოძრაობა. ამ მოძრაობას შედეგად მოჰყვა ის, რომ 21 ოქტომბერს დამხობილ იქნა მონარქია, ხოლო 3 ნოემბერს სახელმწიფოს დროებით უზენაეს მმართველმა რიზა-ხანმა გამოაქვეყნა დეკრეტი დამფუძნებელი კრების მოწვევის შესახებ სპარსეთის სამმართველო ფორმის საბოლოოდ დასამტკიცებლად.

იფიქრებ, რომ 1925 წლის ბოლოს მონარქიის ჩამოგდების შემდეგ ბუნებრივი იქნებოდა რესპუბლიკის გამოცხადება. მაგრამ დღეს სპარსეთში იშლება რაღაც საოცარი სურათი: თანდათანობით იზრდება ხმა მონარქიის აღდგენის შესახებ დამფუძნებელი კრების საშუალებით და მასთან შახად (მეფედ) ასახელებენ სახელმწიფოს დროებით მმართველ რიზა-ხანს, აშკარად ეტყობა, რომ ვიღაცის ხელი სცდილობს უკუღმა მოაბრუნოს ისტორიის ბორბალი, რომ უშვებს რა ერთი პირით მეორეს შეცვლას, ეს ხელი სცდილობს არ იქნას შეცვლილი მონარქიული რეჟიმი რესპუბლიკანურით.

ინგლისი სცდილობს სამი კურდღლის დაჭერას: იხსნას მონარქია, დასცეს რიზა-ხანის ავტორიტეტი სპარსეთის საზოგადოების ლიბერალურ წრეების თვალში და შექმნას ხელსაყრელი ნიადაგი თავისი პოლიტიკური გავლენისა და ეკონომიურად გამაგრებისათვის სპარსეთში.

ინგლისისათვის სავსებით ხელსაყრელია სპარსეთში ორი შახის ყოლა და მონარქიისა და რესპუბლიკის ორი ლოზუნგით ჯამბაზობა.

თუ რომ სპარსეთის ხალხს, თუ რომ რიზა-ხანს არ სურთ გადაიქცენ ტიკინად ინგლისის ხელში, იმათ უნდა იცოდენ, რომ, ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ინგლისის ყოველგვარ ფანდების დაძლევისა და რესპუბლიკის საშუალებით.

ძალაუფლება უნდა დარჩეს რიზა-ხანის ხელში, მაგრამ რიზა-ხანი—პრეზიდენტი უფრო ძლიერი და დამოუკიდებელი იქნება, ვიდრე რიზა-ხანი-შახი.

# ახალი რადიო-ამბები

## ოქტომბრის დღესასწაული საზღვარგარეთ.

**ჩეხო-სლოვაკიაში.**

საბჭოთა კავშირის საელჩოში ოქტომბრის დღესასწაულის დღეს დაესწრო დიპლომატიური კორპუსი, ჩეხო-სლოვაკიის მთავრობის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლები. პრაგაში კომპარტიამ გამართა მანიფესტაცია, რომელსაც დაესწრო დიდძალი ხალხი. იყო აუარება პლაკატები ოქტომბრის ლოზუნგებით. მანიფესტანტები მივიდენ საელჩოსთან და მიესალმენ საბჭოთა კავშირს.

## საბჭოთა ელჩის მოკვლის განზრახვა.

ჩეხო-სლოვაკიაში საბჭოთა კავშირის საელჩოში გამოცხადდა რუსი ემიგრანტი (რევოლიუციის დროს გადასახლებული) და განაცხადა ელჩის მოკვლის ვანზრახვის შესახებ და დაასახელა შეთქმულები და მათი მისამართები.

ეს განცხადება სათანადო ნოტით გაეგზავნა ჩეხო-სლოვაკიის მთავრობას. პოლიციამ დააპატიმრა რამოდენიმე ემიგრანტი, რომელთა სახელები გამოძიების სასარგებლოდ ჯერჯერობითი საიდუმლოდ ინახება.

## საფრანგეთის კომპარტიის მოწოდება.

საფრანგეთის კომპარტიამ მიმართა საფრანგეთის მშრომელთ, რომელთაც მოუწოდებს ბრძოლისაკენ შემდეგ მოთხოვნილებათათვის: ბანკების, რკინისგზების, მაღაროების დამზღვევ საზოგადოებების ნაციონალიზაცია, საგარეო ვალების გაბათილება, კერძო კაპიტალის ჩამორთმევა, ზომების გატარება შრომის დაცვის საქმეში, როგორც საბჭოთა კავშირშია, მაროკოსა და სირიიდან ჯარების გაყვანა და სხვა.

## ვერც პენლევეს გეგმები გამოდგა.

საფრანგეთის ყველა პოლიტიკური წრეები უნდობლად შეხვდენ პენლევეს ფინანსიურ გეგმებს.

მემარცხენე კავშირის წრეები აცხადებენ, რომ ეს გეგმები ვერ არის საკმაოდ დემოკრატიული.

„იუმანიტე“ აცხადებს, რომ ყველა ეს გეგმები მოასწავებს 9 მილიარდ ფრანკის ზარალს და ახალ გადასახადებს 9 მილიარდ ფრანკამდი, რომლებიც უნდა მიეზღოს მომხმარებლებს.

## ჩხრეკა და დაპატიმრება რიგაში.

რიგაში გაჩხრიკეს და დააპატიმრეს აუარება მუშები. ადმინისტრაციამ გაავრცელა ხმა საიდუმლო სტამბებისა და კომუნისტური ლიტერატურის აღმოჩენის შესახებ.

## ბელგიის კომუნისტები იმარჯვებენ არჩევნებში.

ბელგიაში მიმდინარე თვითმართველობის არჩევნებზე კომუნისტებმა ბრიუსელში მიიღეს 32 პროცენტით, ლიეჟში 30 პროცენტით, შარლერუაში—26 პროცენტით მეტი ხმა. სოციალისტები ჰკარგავენ ხმებს.

## ამხ. რაკოვსკი საბჭოთა კავშირისა და ერთა ლიგის შესახებ.

ამხ. რაკოვსკიმ „ობსერვერი“-ს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის შესვლას ერთა ლიგაში ხელს უშლის მეტად რთული მიზეზები. ერთი რომ ლიგა შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ მიზნით, რომ როგორმე შესცვალონ საბჭოთა მთავრობა იძულებული იქნება მონაწილეობა მიიღოს სამხედრო და ეკონომიურ ზომებში.

რაკოვსკიმ მოიყვანა საბჭოთა მთავრობის დეკლარაცია გენუას კონფერენციაზე, სადაც ნათქვამი იყო, რომ საბჭოთა მთავრობა მოწინააღმდეგეა ერთა ლიგის და არა საერთაშორისო ორგანიზაციის, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ეკონომიურ და პოლიტიკურ თანამშრომლობას ქვეყნებ შორის.



ამხ. რაკოვსკი.

# საბჭოთა კავშირში

## დანიის მუშათა დელეგაცია მოსკოვში

6 ნოემბერს მოსკოვში ჩამოვიდა მუშათა დელეგაცია.

დელეგაციის თავმჯდომარემ სოციალ-დემოკრატმა ადამსენმა განაცხადა: „დანიის პროფკავშირთა ცენტრალური გაერთიანება უარს ამბობდა დელეგაციის გამოგზავნაზე, მაგრამ ძირა პროფკავშირთა მასებმა თვითონ შეადგინეს კომიტეტი ამ საქმის მოსაწყობად. დელეგაციის მიზანია დაწვრილებით გაეცნოს საბჭოთა კავშირის მუშების ყოფაცხოვრებასა და მეურნეობას“.

## მუშათა ახალგაზრდობის საერთაშორისო დელეგაცია მოსკოვში

6 ნოემბერს მოსკოვში ჩამოვიდა მუშათა ახალგაზრდობის საერთაშორისო დელეგაცია. დელეგაციის თავმჯდომარემ გაუნშტეინმა განაცხადა:

„ჩვენ მოვედით მდგომარეობის გასაცნობად, რომ სათანადოდ შევაფასოთ ის. ჩვენ შევპირდით ამხანაგებს კარგად გავეცნოთ რუსეთის ახალგაზრდობის ცხოვრებას და გადავცეთ მათ ყველაფერი ის, რასაც რუსეთში ვნახავთ“.

## ოქტომბრის დღესასწაული საქართველოში.

**აფხაზეთში.**

დღესასწაული დიდის ზეიმით ჩატარდა, სადაც მონაწილეობდა მოხუცები და ქალები. დღესასწაულ მასიური სახალხო ხასიათი ჰქონდა. განსაკუთრებულს ყურადღებას იქცევდა სოფლის პიონერთა ძლიერი ორგანიზაციები.

დღესასწაულის ჩატარებას ხელს უწყობდა უჩვეულო თბილი ამინდი.

**თელავში.**

ოქტომბრის 8 წლის თავი თელავმა ბრწყინვალედ გადაიხადა. 7 ნოემბერს სახალხო სახლში გაიმართა მიტინგი. დაესწრო აუარება გლეხობა. საღამოს, 8 ნოემბერს გაიმართა კინო ღია ცის ქვეშ.

სოფლად გაგზავნილ იქნენ ამხანაგები ადგილობრივად დღესასწაულის ჩასატარებლად.

### ბათუმში.

6 ნოემბერს საღამოს აკადემიურ თეატრში გაიმართა აჭარისტანის ცაკის, სახკომსაბჭოსა და ქალაქის საბჭოს წარმომადგენელთა საზეიმო სხდომა პარტიულ, პროფესიონალურ ორგანიზაციებისა და სამხედრო ნაწილების მონაწილეობით.

ორატორები აღნიშნავდენ საბჭოთა ხელისუფლების მიღწევებსა და კავშირის მუშებისა და გლეხების ერთსულოვნობას.

სხდომის დასასრულ ორკესტრმა შეასრულა შესავალი „წითელი ოქტომბერი“ და ინტერნაციონალი.

7 ოქტომბერს თავი მოიყარა დიდძალმა ხალხმა. ორატორები გამოვიდენ სიტყვებით სხვა და სხვა ენებზე. დასავლეთ პროლეტარიატის სახელით გამოვიდენ მეზღვაურები ინგლისის და გერმანიის გემებიდან.

8 ნოემბერს გაიმართა ბავშთა დღესასწაული. ოქტომბრის დღესასწაულმა ბათუმში საყოველთაო სახალხო ხასიათი მიიღო.

### ფოთში.

დღესასწაულზე მონაწილეობა მიიღენ ინგლისელ და იტალიელ მეზღვაურებმა—40 კაცამდი. უცხოელ მეზღვაურთა საპატივცემოდ საბჭოთა მეზღვაურებმა გამართეს ამხანაგური სადილი.

### ხონში.

ხონის რაიონში დღესასწაულმა ფართე მასიური ხასიათი მიიღო. გაიმართა მრავალ რიცხოვანი მანიფესტაცია, რომელიც დამთავრდა პიონერთა გამოსვლით.

## ახალი რადიო-სადგური.

ფოთის ნავთ-სადგურის სამმართველომ მოაწყო ახალი მიმღებ—გადამცემი რადიო-სადგური, რომელიც იმუშავებს სუხუმ—ბათომ—ფოთს შუა.

## სოფლის თვითმოწყობა.

სოფელ ზემო-ალვანმა მოიწვია თავის ხარჯზე მიწისმზომელი, რომელმაც უნდა დაასახლოს სოფელი გეგმაზე. ეს მეოთხე შემთხვევაა სოფლის მოწყობისა მაზრაში. მუშაობას ხელმძღვანელობს სამაზრო აღმასკომის სამიწო განყოფილება.

## მეორე საგლეხო სესხი ჩინებულად ტარდება.

სულ მოსკოვსა და ლენინგრადში 10 ნოემბრამდი და ხარკოვში 7 ნოემბრამდი მეორე საგლეხო სესხზე ხელის მოწერიდან შემოვიდა 53 მილიონი მანეთი; ეს თანხა სამჯერ აღემატება სესხის პირველი ორი სერიის თანხას.

## ამხ. ამხ. სამხკორებო, მოგვაწოდეთ წერილები თქვენი ნაწილების ცხოვრებიდან.

## ახალწვეულები და კომუჯრედების მუშაობა ნაწილებში

### ასეულების კომუჯრედები.

ამჟამად წითელი არმიის ნაწილები ივსებიან ახალწვეულებით, რომლებიც ნაწილში მოსვლისთანავე განაწილებულ იქნებიან ასეულებსა და გუნდებში. ახალწვეულები აქ დანიშნული უფროსებისა და მასწავლებლების ხელმძღვანელობით გაეცნობიან წითელი არმიის საერთო საქმიანობას. ისინი აქ შეისწავლიან სამხედრო საქმეს, შეიძენენ პოლიტიკურ ცოდნას, გაეცნობიან სკოლის გარეშე და სასკოლო დარგის მუშაობას და სხ. ამასთანავე ერთად ახალწვეულები ნაწილებში გაეცნობიან კომუნისტური პარტიის უჯრედებს და მათ მუშაობასაც.

### უჯრედის შემადგენლობა და მისი საქმიანობა.

უჯრედში ირიცხებიან პარტიული მეთაურები, პოლიტმომუშავეები და პარტ წევრი—წითელ-არმიელები. უჯრედი ყოველთვის ატარებს კომუნისტური პარტიის დადგენილებებს და მის მითითებებს, და ყოველდღიური დაუღალავი მუშაობით ყოველმხრივ ამაგრებს წითელ არმიას და ცდილობს გააძლიეროს ნაწილის ბრძოლის უნარიანობა.

უჯრედი ერთი წუთითაც არ ივიწყებს ჩვენი ბელადის ერთ-ერთ ანდერძთაგანს, რომელიც ეხება ჩვენი წითელი არმიის გამაგრება-განმტკიცების აუცილებლობას.

გარდა ამისა უჯრედი ყოველმხრივ ეხმარება მეთაურებს, პოლიტ-ხელებს და მასწავლებლებს წითელ არმიელთა აღზრდისა და გათვითცნობიერების საქმეში, რომ შემდეგში წითელ არმიელთაგან გამომუშავდეს მომზადებული და შეგნებული მეომრები.

ნაწილის უჯრედის წევრები—კომუნისტები ამხანაგური გზით უახლოვდებიან და უდგებიან ახალწვეულებს, გებულობენ მათ მოთხოვნილებებს და ცდილობენ ყოველმხრივ დაეხმარონ მათ. ახალწვეული არ უნდა იდგეს განზე და არ უნდა გაურბოდეს უჯრედს, არამედ უნდა დაუახლოვდეს უჯრედს- უთხრას მას ყოველივე საკითხი და მოთხოვნილებები და სხ. უჯრედებმა ყოველთვის შეკითხვებზე უნდა მისცენ გარკვეული პასუხი და ყოველმხრივ უნდა დაეხმარონ საკითხის მოგვარებაში.

### უდისციპლინოდ არმია შეუძლებელია.

ყოველი წითელი არმიელი ვალდებულია სისწორით და სიტყვა შეუბრუნებლად შეასრულოს ჩვენი ხელისუფლების მიერ დანიშნულ მეთაურების ყოველგვარი განკარგულება. კომუჯრედი თავისი მხრით ცდილობს, რომ დისციპლინა ასეულში იყოს მტკიცედ დაცული, და ყოველმხრით დაეხმაროს ნაწილის უფროსებს დისციპლინის განმტკიცების საქმეში.

უჯრედი და მისი წევრები მაგალითის მაჩვენებლები უნდა იყონ თავიანთი დისციპლინით. ნაწილის უჯრედმა უნდა მოსთხოვოს თავის წევრებს წესიერად აასრულონ ყოველივე ბრძანებები და ერთგულად მოჰკიდონ ხელი ნაწილის საერთო საქმიანობას. ამასთანავე ერთად კომუჯრედმა უნდა აუხსნას ყველას ცოცხალი და პრაქტიკული მაგალითების მოყვანით წითელ არმიაში დისციპლინის განმტკიცების მნიშვნელობა და მისი აუცილებლობა, რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავად.

### უფრო ახლოს კომუჯრედთან.

ამიტომ ყოველი ახალწვეულის მოვალეობა იქნება ნაწილში მოსვლისთანავე დაუახლოვდეს კომუჯრედს და მის მუშაობას, კარგათ გაიგოს და შეისწავლოს, თუ რას აკეთებს თავისი ნაწილის კომუჯრედი და აუცილებლად თითონაც ჩაებას მის საქმიანობაში. უჯრედმა კი თავისი მხრით უნდა მიიღოს ყოველივე ზომები, რომ მიიზიდოს თავის მუშაობაში ახალწვეულთა ფართო მასა.

ემი.

## სამხედრო საქმე.

### მწვევამდელთა სასროლო მომზადება.

წვევამდელის მომზადებაში უმთავრესია დაისწავლოს შაშხანის კარგად ხმარება და სროლა, ე. ი. გამოშვებული იქნას მასში პირველ-ყოვლისა შეგნებული მსროლელი. თანამედროვე ომის პირობებში მსროლელი ხშირად დარჩება თავის თავის ამარა. მას მოუხდება დამოუკიდებლად უფროსის მიუთითებლად ამოირჩიოს მნიშვნელოვანი მიზანი, განსაზღვროს მანძილი, დააყენოს კორა და გაისროლოს. აი რატომაა საჭირო მომზადებულ იქნას არა მარტო მარჯვე, არამედ შეგნებული მსროლელი, რომელსაც შეეძლებოდეს ყოველგვარ პირობებში მიზანშეწონილად მოიხმაროს თავისი იარაღი. ასეთი მსროლელის მომზადება მდგომარეობს ტეხნიკურ და ტაქტიკურ მომზადებაში. პირველი მდგომარეობს იარაღის მატერიალურ ნაწილის შესწავლაში, მის მოფრთხილებაში, შენახვაში, წმენდაში, სროლისთვის მოსამზადებელ ვარჯიშში და თვით სროლაში.

აქ უმთავრესი ამოცანაა დაისწავლოს მეომარმა მარჯვე სროლა.

ტაქტიკური მომზადება მდგომარეობს იმაში, რომ მსროლელმა შესძლოს გამოიყენოს თავისი ცოდნა საბრძოლო პირობებში. სასროლო საქმის წარმოება კარგი იქნება ადგილზე და ნამდვილ მანძილზე, სადაც ნაჩვენები უნდა იქნას მიზანი, რათა წვევამდელი შეეჩვიოს მიზნების მოძებნას, მანძილის გაზომვასა და სხვა. მიზნების პოვნის შემდეგ მსროლელი უნდა გაერკვეს რომელი მათგანი უფრო მნიშვნელოვანია მოცემულ მომენტში და როგორ შეიძლება მისი ადვილად შემუსვრა: მსროლელი სწრაფად უნდა ჰპოულობდეს მიზანს და სწრაფადვე უნდა ერკვეოდეს გარემოებაში.

ამრიგად წვევამდელის მომზადება სასროლო საქმეში უმნიშვნელოვანესი განყოფილებაა მთელ მის მომზადებაში. ამ განყოფილებას წვევამდელებმა უნდა მიაქციონ სერიოზული ყურადღება და სანამ მეცადინეობას შეუდგებოდენ, კარგად უნდა მოემზადონ მეცადინეობისთვის. სასწავლო წერტზე წასვლისას მეთაურთა შემადგენლობა ვალდებულია დაწვრილებით დაამუშაოს დამოუკიდებელ მეომრის მოსამზადებელი პროგრამა და შეადგინოს გეგმა სასროლო საქმის გავლისა მთელ მისი მოცულობით. უნდა გვახსოვდეს, რომ სასწავლო წერტზე პირველად ეყრება საფუძველი მომავალ მეომარს და, თუ როგორ მიუდგება მეთაური წვევამდელს, თუ როგორ დააინტერესებს მას—ამაზე დამოკიდებული იქნება არმიის საბრძოლო მომზადება.

ვ.

## რა ამოცანებს ისახავს წვევამდე მომზადება.

მშრომელ მოქალაქეთა წვევამდე სამხედრო მომზადება (19—20 წლ.) ახალი კანონის მიხედვით სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ წარმოადგენს პირველ რგოლს კავშირის საერო საბრძოლო მომზადებაში. ეს გვეუბნება იმას, რომ წვევამდელთა სამხედრო მომზადება მოწყობილ უნდა იქნას ისე, რომ წვევამდე მომზადება გავლილ, არმიაში მოსულ მოქალაქეს წარმოდგენა ჰქონდეს არა მარტო არმიის ამოცანებსა და მიზნებზე, არამედ იყოს აგრეთვე მომზადებული მეომარი, რომელსაც შეეძლებოდეს იარაღის ხმარება. შემდეგში კი, წითელ არმიაში სამსახურის განმავლობაში, მიღებული ცოდნა ღრმავდება და ფართოვდება და მებრძოლი ეჩვევა მოქმედებას ჯერ პატარა შემადგენლობაში (ათეულში, ოცეულში), ხოლო შემდეგ უფრო მსხვილ ნაწილებში (ასეული, ათასეული, ლეგიონი) და სხვა გვარი იარაღის ჯარებთან ერთად. ასე რომ წვევამდე მომზადება მჭიდროდაა დაკავშირებული მეომრისა და ნაწილის შემდეგ მომზადებასთან.

წვევამდე მზადების ამოცანაა მისცეს დაწყებითი სამხედრო ცოდნა, გამოიმუშაოს წვევამდელში ცალკეული შეგნებული და პოლიტიკურად გაწვრთნილი მეომარი.

აქედან ცხადია, რომ წვევამდე მომზადებაში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ცივი იარაღის ხმარების სწავლებას, მაგრამ ეს ცოტაა: რომ კარგი მეომარი გახდე, უნდა შეგეძლოს იარაღის ხმარება საბრძოლო გარემოების მსგავს პირობებში.

აი რატომაა, რომ წვევამდელები გადიან კიდევ დაწყებითი საველე მომზადებას.

ამ ამოცანებთან შეფარდებით შედგენილია წვევამდელთა სწავლების პროგრამა, სადაც არტილერიასა და სპეციალურ ნაწილებში მთავარი ყურადღება მიქცეულია დაწყებითი მომზადებაზე სპეციალობის და მიხედვით.

ამნაირად წვევამდე მომზადებამ უნდა მოამზადოს თოფის მსროლელი და ცალკეული მეომარი, რომელსაც შეეძლებოდეს მოქმედება ნამდვილ საბრძოლო პირობებში და გარდა ამისა, მისცეს მეომარს დაწყებითი სამხედრო—პოლიტიკური აღზრდა და განვითარება.

ვ.

## ოქტომბერი, ლენინი და ჩვენი განვითარების მომავალი.

### (ამხ. სტალინის წერილი)

(დასასრული)

დღეს ამოცანა მდგომარეობს იმაში, რათა ერთის მხრივ მჭიდროდ დაუკავშიროთ პროლეტარიატი და ღარიბი გლეხობა საშუალო გლეხობას, უზრუნველვყოთ ამ კავშირის შიგნით პროლეტარიატის ხელმძღვანელობა, გავაძლიეროთ ჩვენი მრეწველობის განვითარება და ახალ ტეხნიკურ საფუძვლებზე მოწყობა, ჩავაბათ გლეხობის მრავალ მილიონიანი მასები კოოპერაციაში და ამით უზრუნველვყოთ ჩვენი მეურნეობის სოციალისტური ელემენტების გამარჯვება კაპიტალიზმის ელემენტებზე; მეორეს მხრივ—დავამყაროთ კავშირი, როგორც ყველა ქვეყნების პროლეტარებთან, ისე კოლონიალურ ქვეყნების ჩაგრულ ხალხებთან იმ მიზნით, რათა დახმარება გაუწიოთ რევოლიუციონურ პროლეტარიატს კაპიტალიზმზე გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

საშუალო შეძლების გლეხობის ნეიტრალიზაცია დღეს უკვე საკმარისი აღარ არის.

ეხლა ამოცანა მდგომარეობს იმაში, რათა დამყარებული იქნას მტკიცე კავშირი საშუალო გლეხობასთან, რათა დამყარდეს სწორი ურთიერთ დამოკიდებულება პროლეტარიატის და გლეხობის შორის.

ვინაიდან, თუ სწორია ლენინის დებულება, რომ „გლეხობასთან სწორი დამოკიდებულების 10—20 წელიწადი და გამარჯვება უზრუნველყოფილია მსოფლიო მაშტაბათ“,—ასევე სწორია ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ „წინ გავსწიოთ უფრო ფართო ძლიერი მასით და აუცილებლად გლეხობასთან ერთად,

სახელმწიფო მრეწველობის უბრალო განვითარება დღეს უკვე საკმარისი აღარ არის. მით უმეტეს საკმარისი არ არის ომის წინა დროის დონე. ეხლა ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ წინ წასწიოთ ჩვენი სახელმწიფო მრეწველობის ახალ საფუძვლებზე მოწყობის საქმე და მისი შემდგომი განვითარება ახალ ტეხნიკურ ბაზაზე. ვინაიდან ჩვენი სახელმწიფო მრეწველობა არის სოციალისტური ტიპის მრეწველობა. ვინაიდან იგი არის ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატის დიქტატურის მთავარი ბაზა. ვინაიდან ასეთი ბაზის გარეშე ზედმეტია ლაპარაკი ჩვენი ქვეყნის გარდაქმნაზე ინდუსტრიალურ ქვეყანად. ახალი ეკონომიურ პოლიტიკის რუსეთის გარდაქმნაზე სოციალისტურად რუსეთად.

სოფლად კოოპერაციის უბრალო განვითარება დღეს უკვე საკმარისი აღარ არის, ეხლა ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გლეხობის მილიონიანი მასები ჩავაბათ კოოპერაციაში, შევქმნათ კოოპერატიული საზოგადოებრიობა სოფლად. ვინაიდან კოოპერაცია პროლეტარიატის დიქტატურის და სოციალისტური მრეწველობის არსებობის პირობებში არის სოციალისტურ მშენებლობის სისტემაში გლეხობის ჩაბმის მთავარი პირობა.

ასეთია საერთოდ ის პირობები, რომლებიც საჭიროა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის გასამარჯვებლად.

8 წლის წინად პარტიამ მიაღწია გამარჯვებას ბურჟუაზიის ძალა-უფლებაზე, იმიტომ, რომ მან გამოიჩინა ლენინური სიმტკიცე პროლეტარიატის ამოცანების გაბატონების საქმეში, მიუხედავად მრავალ სიძნელეთა, მიუხედავად მერყეობისა მის სხვადასხვა რიგებში.

8 წლის შემდეგ პარტიას აქვს სრული შესაძლებლობა უზრუნველჰყოს გამარჯვება ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტურ ელემენტებზე, თუ იგი გამოიჩენს ძველ ლენინურ სიმტკიცეს თავის ამოცანების შესრულების საქმეში, მიუხედავათ მრავალ სიძნელეთა, მიუხედავათ შესაძლებელ მერყეობათა მის სხვა და სხვა რიგებში.

ლენინური სიმტკიცე პროლეტარიატის მორიგ ამოცანების განხორციელების საქმეში—ეს აგრეთვე არის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი შევსება მოვიდა
## ახალწვეულები ცხენ. ლეგიონში.

6 ნოემბერს საღამოს შვიდ საათზე, სწორედ იმ დროს, როდესაც იხსნებოდა ოქტომბრის რევოლიუციის აღსანიშნავი საღამო, მოისმა ლეგიონის ეზოდან მხიარული ყიჟინა. „მოვიდენ, მოვიდენ, გაუმარჯოს ამხანაგებს, ვაშაა“ ისმოდა დაუსრულებლად. ძველი და ახლად მოსული ამხანაგები იშვიათური გულთბილობით შეხვდენ ერთმანეთს.

გაიმართა ახლების მისასალმებელი სიტყვები. მეორე მხრივ ვისტუმრებდით მეორე რიგში გრძელ ვადიან შვებულებაში მიმავალ ამხანაგებს. სახლში მიმავალი და მათი ცვლა ამხანაგები ერთმანეთს შეხვდენ. მეთაურებმა კიდევ ერთხელ გაახსენეს ამხანაგებს თუ რა უნდა აკეთონ, როგორ უნდა მოიქცენ ერთი მხრივ სოფლებში მიმავლები და მეორე მხრივ როგორი გულის ყურით და ინტერესით უნდა მოეკიდონ წითელ ყაზარმას და იქ წარმოებულ მუშაობას ახლად მოსულები.

ძველი არმიელები კიდევ ერთხელ ვესალმებით ახლად მოსულებს და ვუსურვებთ ისინიც შესაფერი ცოდნით დაბრუნებოდენ თავიანთ სოფლებს კულტურულ და ეკონომიურ ფრონტებზე ნაყოფიერი მუშაობისათვის.

სამხკორი ჩ—ია.

# ჩვენი მხედრული სალამი ახალწვეულებს.
**მე-6-ხე ტერ. ლეგიონი.**

5 ნოემბრიდან ჩვენთან ჯგუფ-ჯგუფად დაიწყეს მოსვლა ახალწვეულებმა. წინასწარ ყველა ლენკუთხეებში აქტივთან ჩატარებულ იქნა საუბრები თუ როგორი მუშაობა უნდა აწარმოონ ძირეულ არმიელებმა ახალწვეულთა მიღების დროს.

ყველა ლენკუთხეებში გამოკრულია შესაფერისი ლოზუნგები.

მთლიანი აქტივი მზად არის ახალწვეულთა შორის მთელ რიგ საუბრების ჩასატარებლად.

მთელ ჩვენს ენერგიას და ძალღონეს არ დავზოგავთ ახალწვეულთათვის. კომუჯრედების და კლუბის გამგეობამ გამოყვეს მომზადებული ამხანაგები, რომლებიც მიმაგრებული არიან ახალწვეულთა შორის მუშაობის საწარმოებლად. ახალწვეულთა შესახვედრი საღამო მოეწყობა მათი კარანტინიდან გასვლისთანავე.

ჯერ-ჯერობით ახალწვეულები მივიღეთ კახეთიდან, რომლებიც დიდი მხიარულებით და სიმღერებით მოდიან.

ყველას უხარიან წითელ ყაზარმაში მოსვლა, ვერ ნახავთ ერთს, რომ ოდნავ მოწყენილი და უკმაყოფილო იყოს, რაც იმის თავდებია, რომ დღეს მუშებს და გლეხებს მტკიცეთ აქვთ შეგნებული თუ ვის ინტერესებს იცავს ძლევა მოსილი წითელი არმია.

სამხკორი ე—ლი.

# მოვეწყვეთ.
**1-ლი არტლეგიონი.**

ჩვენს ლეგიონში ამ უკანასკნელ ხანებამდე ვერ იყო საერთო მოწყობის საქმე მოგვარებული, რასაც თავისებური შედეგები მოსდევდა.

უკანასკნელად სათანადო ყურადღება მიექცა ყველა ამ მოვლენებს და ლეგიონში მოეწყო სასადილო, სამზარეულო, სამკითხველო, ბიბლიოთეკა, სკოლა და დასასვენებელი კუთხე. შეძენილი იქნა ყველა საჭირო საგნები, მაგიდები, სკამები და სხვა, რაც ლეგიონს წინად არ ჰქონდა. ყველა ამისათვის გამონახული იქნა სათანადო შენობები. წითელ არმიელებში ყველა ამან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა და რაც უმთავრესია სათანადოთ მოწყობილი ვხვდებით ახალწვეულებს.

სამხკორი ა. არველაძე.

# ახალწვეულები განუწყვეტლივ ავსებენ რიგებს
**პირველი ლეგიონი.**

აგერ ხუთი დღეა, რაც ლეგიონში განუწყვეტლივ მოდიან ახალწვეული არმიელები და ავსებენ დაცარიელებულ ყაზარმებს. ახალწვეულები აღფრთოვანებული შამოდიან ყოველთვის ლეგიონის ეზოში. მათ მოუხარიათ წითელი სკოლის—ყაზარმისაკენ, სადაც ისინი მიიღებენ საბჭოთა კავშირის ნამდვილი ღირსეული მოქალაქისათვის აუცილებელ ცოდნას.

მხიარულად, ღლიაში პურით, ყველით, ხორცით და ხილით სავსე პარკებით მოემართებიან ისინი ჩვენთან.

ჯერ კიდევ სადგურშივე ხვდებიან ამხანაგებს ლეგიონის შემადგენლობა და ისე მოაცილებენ მუსიკით ნაწილში, სადაც იმართება მიტინგები, უხსნიან ახლად მოსულებს წითელი ჯარის მნიშვნელობას, ყაზარმის ყოფა-ცხოვრებას, სამხედრო დისციპლინის მტკიცედ დაცვის აუცილებლობას და მრავალი სხვა.

სიამოვნების ჟრუანტელი გივლით ტანში, როდესაც ხედავთ, რომ ძველი წითელარმიელი, რომელიც ჯარში მოსვლამდე წერა-კითხვის უცოდინარი და სრულიად განუვითარებელი იყო, ხოლო ეხლა იმდენად მომზადებულა, რომ ახალწვეულებს თამამად ებაასება საკმაოდ რთული საკითხების შესახებ და აიმედებს მათ, რომ ისინი კიდევ უფრო მეტი ცოდნით დაუბრუნდებიან თავის ოჯახებს, ვიდრე ის ამ ქამად.

ძველი ამხანაგები ერთსულოვნად მოუწოდებენ ახლად მოსულებს, რაც შეიძლება დიდი ყურადღებით მოეკიდონ უფროსების საუბრებს, სამხედრო საქმის შესწავლას, დისციპლინის განმტკიცებას და სხვა, რაც ახალწვეულებში კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს.

კურს. მუშკუნა.

# ოქტომბერი წითელ ყაზარმაში
## დღესასწაულის შესახვედრი საღამო.
**სამხედრო პოლიტსკოლა.**

6 ნოემბერს გავათავეთ თუ არა მეცადინეობა, სკოლის მთელი კურსანტები ხალისიანად შეუდგენ სადღესასწაულო მზადებას. ზოგიერთი კურსანტები გაეშურენ სამოქალაქო ორგანიზაციებსა და სამხედრო ნაწილებში საღამოებზე დასასწრებლად. მეორე მხრივ სკოლაშიც მოეწყო საღამო. კლუბი სავსე იყო ამხანაგებით. ყველა სულ განაბული მოელოდა საღამოს გახსნას. რამოდენიმე წუთის შემდეგ სცენაზე გამოჩნდა სკოლის უფროსი, რომელმაც გახსნა საზეიმო საღამო მისასალმებელი სიტყვით, აღნიშნა რევოლიუციის 8 წლის თავზე მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული მიღწევები. ამხანაგმა მოიხსენია აგრეთვე მუშებისა და გლეხების საუკეთესო მომავლისათვის ბრძოლებში დაღუპული ამხანაგები.

ამხანაგის სიტყვის შემდეგ სკოლის ბიბლიოთეკის გამგემ წაიკითხა ზოგიერთი ადგილები ჯონ-რიდის წიგნიდან „ათი დღე, რამაც შესძრა ქვეყნიერება“, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე.

საღამომ საერთოდ კარგად ჩაიარა. დაიხურა ინტერნაციონალით, რის შემდეგაც გაიმართა პოლიტანკესი, რევოლიუციონურ ლექსთა თქმა, რევოლიუციონური სიმღერები, ცეკვა-თამაში და სხვა გასართობები.

კურსანტი ნ. თ—ძე.

# ოქტომბრის შეხვედრა.
**1-ლი არტ. ლეგ. 4-ხე საგაუბიცო ბატარეია.**

წინასწარ ოქტომბრის დღესასწაულის ჩასატარებლად ბატარეიაში არჩეული იქნა სპეციალური კომისია, რომელსაც უშუალოდ კავშირი ჰქონდა ლეგიონის კლუბის გამგესთან. გამომუშავებული იქნა სამუშაო გეგმა, რომელიც სავსებით იქნა გატარებული ნაწილში.

გადავახალისეთ ლენინის კუთხე, მოვაწყვეთ შესაფერისად ყაზარმები საოქტომბრო ლოზუნგებით, პლაკატებით და დაიწყო გაცხოველებული საუბრები ლენკუთხეებში. მოხსენებები კეთდებოდა ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობისა და მისი ბელადების შესახებ.

მთელი ეზო და ალაყაფის კარები მოვრთეთ გირლიანდებით. სადღესასწაულოდ გამოშვებული იქნა კედლის გაზეთი, რომელშიდაც წითელ არმიელების უმეტესობამ მხურვალე მონაწილეობა მიიღო. ოქტომბრის წინა დღით კიდევ იქნა მოსმენილი პოლიტხელის ვრცელი მოხსენება.

7 ნოემბერს კი სამოქალაქო დაწესებულებების ორგანიზაციებმა მიგვიპატიჟეს თავიანთ კლუბებში. მოვისმინეთ მოხსენებები, მისალმებები და შემდეგ გვანახეს რევოლიუციონური კინო სურათები, სადაც თვალნათლივ ვნახეთ სამოქალაქო ომების სიმწვავე, რევოლიუციონურ მუშების, წითელ გვარდიელების ბრძოლა და მრავალი სხვა.

ასე შეხვდა ოქტომბრის დღესასწაულს ჩვენი საგაუბიცო ბატარეია.

წ. არმ. გრ. ბარათაშვილი.

# აეროპლანების გადაცემა.

7 ოქტომბერს დილის 11 საათზე მოხდა კავკასიის წითელ დროშოვან არმიის ავიორაზმისათვის აეროპლანების საზეიმო გადაცემა აჭარისა და სომხეთის ავიაქიმების მიერ. საკუთარი აეროპლანი გადასცა რაზმს აგრეთვე ა. კ. რკინისგზელთა პროფკავშირმაც.

ზეიმზე მოვიდენ რკინისგზელი მუშები და დელეგატები აჭარიდან და სომხეთიდან. სულ აეროდრომზე თავი მოიყარა 1500 მეტმა კაცმა.

ზეიმზე პირველი სიტყვით გამოვიდა წითელ დროშოვანი არმიის სარდალი ამხანაგი კორკი. მან თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ დღეს საბჭოთა რესპუბლიკის 8 წლის თავზე ავიაქიმიის ასეულ ათასიანი არმია საჩუქრათ აძლევს წითელ ავიო ფლოტს თავის მიერ შეძენილ აეროპლანებს—ჩვენთვის ძვირფასია რკინისგზის პროლეტარიატის მზრუნველობაც, განაცხადა ამხ. კორკმა და დასძინა, რომ ეს ფონდი ამტკიცებს ჩვენს უნარიანობას, ჩვენი წითელი სამშობლოს მტერთაგან დაცვის საქმეში.

შემდეგ მოხდა აეროპლანების ჩაბარება მფრინავებისათვის.

ზეიმზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე აჭარისა და სომხეთის დელეგაციების წარმომადგენლები და რკინისგზელი მუშები.

იმავე დღეს აეროდრომის ბაღში მოხდა ლენინის ძეგლის და ახლათ აგებული ელექტრო სადგურის გახსნა.

დ. ქ.

# ცვალებადელნი და წითელი ყაზარმა.
## არ გვივიწყებენ შვებული ცვალებადელები.
**5 ე ლეგ. 3 ე ასეული.**

ასეულის თავის წერტზე ჩასვლის შემდეგ გაშვებული იქნენ გრძელ ვადიან შვებულებაში ცვალებადი არმიელები, რომლებიც ხშირად მოდიან ისევ ასეულში, კითხულობენ გაზეთებს და ეკითხებიან ამხანაგებს ყველა იმ საკითხების შესახებ, რომლებიც გაუგებარია მათთვის სოფლად მუშაობის დროს. ამასთანავე ისინი გვიზიარებენ სოფლის ყველა ჭირ-ვარამს, სად როგორი მდგომარეობაა, რას უნდა მიექცეს უმთავრესი ყურადღება და მრავალი სხვა.

ყველა ამ მოვლენების შესახებ ისინი საჭირო დარიგებას ღებულობენ ჩვენი უფროსებიდან.

ამნაირად შვებულებაში წასული ამხანაგები მაინც არ სწყვეტენ ჩვენთან კავშირსა და არ ივიწყებენ წითელ ყაზარმას.

სამხკორი ჯანყარაშვილი.

# შეერთებული ძალით ვმუშაობთ.
**მე-4 ლეგიონის მე-2 ათასეული.**

ჩვენ ათასეულს მჭიდრო კავშირი აქვს, როგორც სამოქალაქო ორგანიზაციებთან ისე სამხედრო კომისარიატთან და შეერთებული ძალით ვასრულებთ ყველა საქმეებს.

უკვე დაიწყო 1903 წელში დაბადებულების გამოწვევა და ჩვენი ათასეული სამხედრო კომისარიატთან ერთად არის ამ საქმეში ჩაბმული და მუშაობს. მოვაწყვეთ აგიტპუნკტი ქალაქის კლუბში პლაკატებით, ლოზუნგებით და სხვა და სხვა მოწოდებებით, სადაც ტარდება საუბრები და მოხსენებები წითელი არმიის ისტორიის შესახებ.

1903 წელში დაბადებულებთან რომლებსაც უხსნით ძველსა და ახალი ჯარის შორის განსხვავებებს.

1903 დაბადებულები საერთოდ მოხარული არიან ასეთი მოხსენებებით და რჩევა დარიგებით.

ათასეულის ძალებიდან გაგზავნილი არიან რაიონებში მეთაურები და წითელი არმიელები რომლებიც რჩევა დარიგებას აძლევენ ახალი წვეულებს და მათ მშობლებს.

ასეთი შეერთებული ძალით მუშაობას დიდი ნაყოფი მოაქვს.

გაუმარჯოს 1903 წელში დაბადებულ ახალ წვეულებს, რომლებიც მოეშურებიან წითელ ყაზარმისაკენ.

ლ. ჭელიძე.

# ახკომკავშირელთა შორის.
## ასეთი კავშირი ნაყოფს ვერ მოგვიტანს.
**ქართ. ცხენ. ლეგიონი.**

ჩვენი ლეგ. კომკავშირს კავშირი აქვს ზეთსახდელ საპნის ქარხნის კ. კ. უჯრედებთან, სადაც ადგილი აქვს ზოგიერთ ნაკლულევანებებს.

როდესაც ჯგუფების კრება გვაქვს ესწრებიან ხსენებული ორგანიზაციიდან და პირიქით, მაგრამ ეს ვერ აკმაყოფილებს კავშირის მოვალეობას, შუქდება დღის წესრიგებში 1-ლი საკითხი მე-2-ის კრებაზე და 2-ის 1-ზე. რომ ეს ნაკლი გამოსწორებულ იქმნას საჭიროა ბოლო მოეღოს ასეთ ჩვეულებას.

აგრეთვე საჭიროა რომ სამოქალაქო ორგანიზაციამ გაიგოს თუ როგორი მუშაობა სამხედრო ნაწილებში და სამხედრო ორგანიზაციამ გაიგოს და ნახოს მდგომარეობა მუშურ ახალგაზრდობის და სხვა.

უნდა ხდებოდეს გაერთიანებული ძალებით წარმოდგენების დადგმა, საღამოების მოწყობა და სხვა, მაგრამ ასეთებს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სამოქალაქო ახ. ლენ. კომ. კავშირის უჯრედები, ისინი არც კი გვეკარებიან. არის აგრეთვე შემთხვევები, რომ კრებას არ ესწრებიან. თუ წარსულში გვქონდა ასეთი ნაკლი, მომავალში უსათუოდ გამოსწორებულ უნდა იქმნას, რაც მეტ ნაყოფს და სარგებლობას მოგვიტანს საერთო მუშაობაში.

სამხკორი ჩახაია.

# რვა წლის თავზე.

რვა წელი შესრულდა მას გამარჯვებისა. შემდეგ, რაც ლენინგრადში დანთებული რევოლიუციონური ცეცხლი რუსეთის თვალუწვდენელ სივრცეს მოედო. ძან გადაბუგა, დასწვა და გაატიალა ძველი ქვეყანა.

მართალია, ბევრი სისხლიანი დღეები ვიგემეთ შინაური და გარეშე მტრებით, სიცივე, შიმშილი, მაგრამ ყველა ეს უბედურებები სარჩულად დაედო ჩვენს ბედნიერებას!

მხოლოდ მუშების და გლეხების მტკიცე კავშირმა მიგვიყვანა ამ მდგომარეობამდე.

დღეს კი ჩვენი ეკონომიური სიძლიერე თავდებია საბოლოო

დღეს ჩვენ ყველა გვცნობს, იმედიანად შემოგვყურებენ მსოფლიო ჩაგრულები და შიშის ზარს ვსცემთ მჩაგვრელთა ხროვას.

მათი გეგმები, მათი შხამი და გესლი ჩვენს წინააღმდეგ ვერ შეგვაშინებს.

დღეს, ოქტომბრის მერვე წლის თავზე ვფიცავთ დაუმტკიცოთ მთელი მსოფლიოს მუშებს და გლეხებს თუ რა ძლიერია მათი არმია.

გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლიუციის რვა წლის თავს.

წით. არმ. შუტუ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცირკულიარულად.

# კპ(ბ)-სა და ლენინურ ახკომკავშირის ყველა ცენტრალურ, საოლქო, სამაზრო და სარაიონო კომიტეტებს, ამიერკავკასიის პროფსაბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს, აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭოს და სომხეთის პროფკავშირთა საბჭოს ფრაქციებს.

აზერბეიჯანის, სომხეთის, 1 და 2 ქართულ დივიზიების პოლიტგანყოფილებების უფროსებსა და ტერნაწილების ყველა კომისრებს.

გასულ წელს წვევამდელთა მომზადებამ, პარტპოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის გატარებაში მიღწევებთან ერთად გამოაჩინა არსებით ნაკლთა მთელი რიგი.

1. კპ(ბ)-ს და ლენინურ ახკომკავშირის ადგილობრივ კომიტეტების უმეტესობამ და აგრეთვე პროფკავშირებმა ვერ გამოიყენეს შეკრებამდე პერიოდი მოსამზადებელი მუშაობისთვის. პრესაში სუსტად შუქდებოდა წვევამდე მომზადების საკითხები. ამის გამო ადგილობრივ უჯრედებსა და პროფკავშირებს არ ესმოდათ მუშაობის ვითარება წვევამდელთა შორის და შეკრებების დროს თითქმის არავითარ მუშაობას არ აწარმოებდენ სასწავლო წერტებზე.

2. უმეტეს შემთხვევაში კომკავშირელ—წვევამდელთა შორის არავითარი მოსამზადებელი მუშაობა არ სწარმოებდა შეკრებებისთვის. პარტიულები და კომკავშირელები თავის დროზე არ ცხადდებოდენ წერტებზე. ამასთან ერთად ისინი ხშირად წარმოადგენდენ უდისციპლინობის მაგალითს და ამით უარყოფით გავლენას ახდენდენ უპარტიო წვევამდელებზე.

3. პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობა წვევამდელთა შორის საერთოდ სუსტად სწარმოებდა. სამხედრო მომენტი მასში არ შუქდებოდა სათანადოდ.

4. ლენინურ ახკომკავშირის კომიტეტების მუშაობა არ იყო შეთანხმებული სათანადო პოლიტორგანოებსა და ნაწილებთან, რამაც გამოიწვია სხვადასხვაობა მუშაობაში.

5. პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობა ვერ იყო საკმარისად უზრუნველყოფილი სამშობლო ენაზე წვევამდელთა შორის.

6. პოლიტხელების გამოყოფა ვერ სწარმოებდა დროულად. გამოყოფილთა უმეტესობა აღმოჩნდა პოლიტიკურად უცოდინარი და არ შეეფერებოდა თავის დანიშნულებას. შემჩნეული იყო გამოყოფილ მომუშავეთა ხშირი გამოცვლა.

7. ლენინურ ახკომკავშირის კოლექტივების თავის დროზე მოუწყობლობა უარყოფით გავლენას ახდენდა მუშაობის მსვლელობაზე. კოლექტივები ვერ ამართლებდენ მიმართვა და ხელმძღვანელ პირთა როლს. ისინი არ ღებულობდენ პრაქტიკულ მონაწილეობას წვევამდელთა სწავლების საქმეში, კერძოდ სრულებით არ იყო საკმარისი მუშაობა სათანადო სამხედრო დისციპლინის ჩანერგვაში.

8. ლენინის კუთხეები სასწავლო წერტებზე ეწყობოდა შეკრების დროს და არ იყვნენ უზრუნველყოფილი პერიოდულ და არა პერიოდულ ლიტერატურით.

იმასთან დაკავშირებით, რომ 1904 წლიან წვევამდელთა სწავლება დაიწყება ა. წ. 1-ლ დეკემბრიდან, რკპ-ს (ბ) ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი, რუსეთის ლენინურ ახკომკავშირის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი და კავკასიის წითელდროშოვან არმიის პოლიტსამმართველო წინადადებას იძლევა:

1. წვევამდელთა შეკრების დაწყებამდი პოლიტორგანოებსა და სამხედრო კომისარიატებთან მჭიდრო კავშირში ფართედ იქნას ჩატარებული აგიტკამპანია მოსახლეობისა და წვევამდელთა შეკრებისთვის მომზადების საქმეში, სადაც საჭიროა ახსნილ იქნას: ა) წვევამდე მომზადების და საერთოდ ტერსისტემის მიზანი, ამოცანები და მათი მნიშვნელობა წითელი არმიის აღმშენებლობის სისტემაში, ბ) მორიგი სასწავლო შეკრების საერთო პირობები, გ) წვევამდელთა სასწავლო წერტებზე და თავის დროზე გამოცხადების აუცილებლობა, დ) გამოუცხადებლობისა და გვერდის ავლის შედეგები, ე) საერთაშორისო მდგომარეობა და ამოცანები ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცების საქმეში და სხვა.

პრესაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს წვევამდე მომზადებას აგიტკამპანიისა და შეკრების გატარების დროს

2) მორიგ შეკრებისთვის განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კომკავშირელ—წვევამდელებს, სწარმოებდეს მათი კრებები და ტარდებოდეს მათთან საუბრები შეკრებაზე მათი მუშაობის საკითხებისა და ამოცანების შესახებ. მოსამზადებელი მუშაობის ამოცანა უნდა იყოს სამხედრო დისციპლინის შინაარსის ახსნა-შეთვისება მთელი პარტიულ და კომკავშირის შემადგენლობის მიერ. სადაც უნდა გვახსოვდეს რომ თვითეულ პარტიულ და კომკავშირელ—წვევამდელი თავისი ერთგულობისა და დისციპლინობის მაგალითით ხელს უნდა უწყობდეს მუშაობას დისციპლინის განმტკიცების საქმეში.

3) საგიტაციო კამპანიისთვის გამოყენებულ იქნას ყოველგვარი კრებები, მოხსენებები საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანოების სხდომებზე, საღამოების მოწყობა კლუბებში, საზეიმო გაცილება, შეხვედრა წვევამდელთა და სხვა ასეთები.

4) შეკრებისთვის წვევამდელთა მომზადების საქმეში და შეკრების დროს მუშაობაში ჩაბმულ უნდა იქნან პროფკავშირთა ორგანიზაციები. მათი მუშაობა უნდა გამოიხატებოდეს სამხედრო ჯარებისადმი დახმარებაში ლენინისა და სამხედრო კუთხეების მოწყობის საქმეში და აგრეთვე ყოველდღიურ მუშაობაში შეკრებათა შორის პერიოდში.

პროფკავშირებმა უნდა უზრუნველყონ თავის წევრ-წვევამდელთა დროული გამოცხადება შეკრებასა და მეცადინეობაზე და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი პარტპოლიტსაგანმნათებლო მუშაობის ჩატარებას.

5) მორიგი შეკრების მოსამზადებელ მუშაობისა და წვევამდელთა შორის პარტპოლიტსაგანმანათლების სათანადო სიმაღლეზე დაყენების საქმეში ნაკლის თავიდან აშორების მიზნით, დაჭერილ იქნას მჭიდრო კავშირი კპ(ბ)-ს, ლენინურ ახკომკავშირისა და პროფკავშირთა ადგილობრივ ორგანიზაციებთან და შეთანხმებულ იქნას მთელი მათი წვევამდე მომზადების მუშაობა სათანადო პოლიტორგანოებისა და სამხედრო კომისარიატების მუშაობასთან, რისთვისაც გამართულ იქნას მოხსენებები წვევამდე მომზადების მდგომარეობის, ამოცანებისა და მუშაობის გეგმის შესახებ.

6) დასახულ იქნას მთავარ ამოცანად წვევამდელთა შორის მთელი საპოლიტგანმანათლებლო მუშაობის უზრუნველყოფა სამშობლო ენაზე. პარტპოლიტსაგანმნათლებლო მუშაობის გეგმა უნდა მუშავდებოდეს შეკრების დაწყებამდე სამხედრო ნაწილების სათანადო პოლიტპარტიებთან ერთად.

(გაგრძელება იქნება).

# მოსკეთ ნაკლულევანებანი

## საჭიროა წესრიგი.

### 1-ლი საკავშირო ასეული.

ხსენებულ ასეულში მივლენილი ვართ კმაყოფაზე დივიზიის პოლიტგანყოფილებასთან არსებულ კომუჯრედების მდივნების მოსამზადებელ სემინარის მსმენელები, მაგრამ ვერა დროს წესიერად ვერ ვღებულობთ სადილს. ასეულში ყოველთვის რაღაც აყალ-მაყალი და ჩხუბია. ხშირად ამის გამო უსადილოდაც დავრჩენილვართ. ნუ თუ შეუძლებელია დაიცვან ასეულში შესაფერი წესრიგი და თვის დროზე კეთდებოდეს ყველაფერი. ასეულის მეთაურებმა დროა ყურადღება მიაქციონ ამ ანორმალობას.

წ. არმ. მსმენელი.

## მოგვეცით წყალი.

### სიღნაღის აღმასკომის საყურადღებოთ.

სიღნაღში დაბანაკებულ ასეულს ძლიერ დიდი მანძილიდან გვიხდება წყლის ზიდვა, ეს იმ დროს, როდესაც ყაზარმის ეზოში გამოყვანილია წყალი, მაგრამ წყლის მილის გაფუჭების გამო ვერ ვსარგებლობთ. რამოდენიმეჯერ მივმართეთ ამის შესახებ აღმასკომს, მაგრამ ყურადღება არ მოგვაქცია. დროა ყურადღებით მოეკიდონ ჩვენ თხოვნას და შეგვიკეთონ წყლის მილი, თორემ ამ ზამთრის განმავლობაში წყლის ასეთი დაცილებული მანძილიდან ზიდვა შეუძლებელი იქნება.

წ. არმ. ციხისუბნელი.

## საჭიროა ქართული ჟურნალ-გაზეთები.

### ტფილისის სამხედრო საავადმყოფო.

საავადმყოფოში არ მოდის ქართული ჟურნალ-გაზეთები, ქართველი წითელ არმიელები კი ბლომად არიან საავადმყოფოში და არც ერთმა მათგანმა არ იცის რუსული წერა-კითხვა. ერთ ხანს მოდიოდა გაზეთი „წითელ არმიელი“*), მაგრამ შემდეგ მისი მოტანაც შესწყვიტეს. ქართული გაზეთები აქაც საჭიროა. ამას გარდა დღეში თუ არა, კვირაში, ერთხელ მაინც პოლიტსაათის ჩატარება და გაზ. „კომუნისტის“ ხმამაღალი კითხვა, დაჩქარებით მოითხოვს მოგვარებას.

*)რედაქციის შენიშვნა: აღნიშნულ საავადმყოფოს ყოველ დღიურად ეგზავნება 30 ცალი გაზ. „წითელი არმიელი“. საინტერესოა სად მიდის ეს გაზეთები?

## მეტი ასეთი საღამოები.

### ცხენ. ლეგიონი.

8 ნოემბერს, ლეგიონის კლუბში 63-მე სკოლის მასწავლებლებმა გამართეს საზეიმო საღამო, რომელსაც წითელ არმიელებთან ერთად კერძო მოქალაქენიც დაესწრენ. ბავშვები კარგ შთაბეჭდილებას სტოვებდენ არმიელებზე თავისი ცუგრუმელობით. განსაკუთრებით ძლიერ მოეწონათ არმიელებს ლექსები, მაგრამ სამწუხაროდ უმეტესობა მათგანი რუსული იყო და გაუგებარი რჩებოდა. ჩვენ არმიელები მაინც კმაყოფილი დარჩნენ საღამოთი.

სამკორი ა. კახიძე.

## ყოველთვის წითელ არმიელებთანაა.

### ცხენოსანი ლეგიონი.

ლეგიონის მეორე ესკადრონის თავი ამხ. ვახტანგაძე ძლიერ კარგ დამოკიდებულებაშია წ. არმიელებთან. თავისუფალ დროს ის ყოველთვის მათ შორის არის და ესაუბრება სხვა და სხვა საინტერესო და აუცილებელ საკითხებზე. არმიელები დიდი სიხარულით იყრიან თავს მის გარშემო და ყურადღებით უსმენენ. კარგია სხვა მეთაურებიც წაჰბაძავდენ ამ ამხანაგს.

სამკორი კელა.

## სამაგალითო ქცევა.

### 5-თე ტერლეგიონი.

ლეგიონს შეფობის ქვეშ ყავს აყვანილი ს. მესხეთი, რომელსაც უწევს შესაფერ დახმარებას. ლეგიონის სამნეო ნაწილის უფროსს ამხ. გიორგობიანს დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ საქმეში. ის ყოველ მხრივად გვიწყობს ხელს როგორც ფულით ისე სხვა მხრივაც. იმედია საშეფო კომისია შესაფერად გამოიყენებს ამ უხვ დახმარებას და რაიმეს შესძენს ს. მესხეთის გლეხობას.

სამკორი კ. დევაძე.

# მეცნიერება და ტეხნიკა

## ავტომობილი უშოფეროთ.

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ ახლო მომავალში მოხდება მეტად საინტერესო გამოცდა. 2 ავტომობილი გადასჭრის ამერიკის მთელ მატერიკს დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით, მაგრამ რაც უფრო საინტერესოა ერთ მათგანზე არ იქნება არც შოფერი და არც მგზავრები.

უშოფერო ავტომობილის მართვა იწარმოებს პირველი ავტომობილიდან, რადიო ტალღების საშვალებით. პირველ ავტომობილზე (რომელზედაც იქნება შოფერი) მოწყობილი იქნება რადიო გადამცემი სადგური, ხოლო უშოფეროზე კი რადიო მიმღები. სადგურის სიძლიერე უდრის 100 ვატს 80 მეტრის სიგრძე ტალღების დროს. ეს ძალა სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ ავტომობილის მექანიზმის ყველა ნაწილები მოვიდენ მოძრაობაში.

ავტომობილის, წყალქვეშა ნავისა და ჰაეროპლანის მანძილიდან მართვის ცდები არა ერთხელ მოუხდენიათ, მაგრამ ასეთ მანძილზე მოგზაურობა (6.500 ვერსი) ჯერ არც ერთი მანძილიდან მართვის საშვალებებით არ შესრულებულა.

## რადიო სადგურების საზამთრო მზადება.

ინგლისის ყველა რადიო სადგურები ამ ჟამად მოწყობილი არიან სპეციალური ხელსაწყოებით, რომლებიც იძლევიან შესაძლებლობას მცირე ხნით შესწყვიტონ გადაცემა და ანტენის მავთულებზე გაუშვან ელექტრო ჩქერი საკმაო ძალით. ამ საშვალებას იმიტომ მიმართავენ, რომ ზამთრობით ანტენებს ედება ყინვა, რომელიც ხელს უშლის გადაცემას და ცნობების მიღებას. ანტენაში გაშვებული დიდი ძალის ელექტრო ჩქერი კი აღნობს ყინულს და ანთავისუფლებს მას, რის შემდეგ სადგურები თავისუფლად აწარმოებენ მუშაობას.

## ეშინიათ რადიო ბოლშევიზმის გავრცელების.

რუმინეთის მთავრობა სპეციალური კანონებით ეწინააღმდეგება რადიო მიმღები აპარატების გავრცელებას რუმინეთში, რადგან ეშინიათ რადიოთი ბოლშევიზმის გავრცელების. უკანასკნელი სტატისტიკის მიხედვით რუმინეთში, რომლის მცხოვრებთა რიცხვი აღწევს 18 მილიონამდე, არის მხოლოდ 20 რადიო მიმღები, რომლებიც იმყოფებიან საგარეო საქმეთა სამინისტროს თვალსაჩინო ჩინოვნიკების რადიო ცნობათა სამმართველოსა და გენერალური შტაბის განკარგულებაში.

## განცხადება

ქართ. სამხედრო პოლიტ-სკოლის კომ-უჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება კ. პ. კანდიდატად მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

1) ლომიძე ივანეს, 2) კინტირაია იასონს და 3) ოდიშრია დავითს, კომ. პარტ. კანდიდატობიდან კ. პ. წევრად გადარიცხვის შესახებ.

გთხოვთ თუ ვინმეს გაქვთ რაიმე საწინააღმდეგო ზემოაღნიშნული ამხ. ამხ. შესახებ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში.

კომ-უჯრედის პ. მ. მდ. ხუხუა.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

ქართ. გაერთ. სამხ. სკოლის № კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ შემდეგ ამხ. ამხ. 1) რეხვიაშვილი გერასიმე ივანეს ძეს (რაჭის მაზრ. უპარტიო), 2) მინდელია არისტრახ მალაქიას ძეს (ქუთაისის მაზრ. უპარტიო) და 3) ფარეშიშვილი გიორგი ასლანის ძეს (ოზურგეთის მაზრ. უპარტიო) თუ ვინმეს რაიმე გაქვთ მათ მიღების შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ 10 დღეში.

ქართ. გაერთ. სამხ. სკოლის პირველი კომუჯრედი.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა ქუთაისის ქ. № 8. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.